

გაზეთი

„საბჭოთა“

კანტორის სახელი

მაისის 16-დან „საბჭოთა“

ელირება:

თვეურად — 700,000 მ.

ცალკე ნომერი — 30,000 „

### ანარქიზმ და ავანტიურა.

ანარქიზმ და ავანტიურა განუყოფელი თვისებები იმპერიალისტური ქვეყნების.

კაპიტალისტთა აპოლოგეტი იურიდიულ დოქტრინებს დიდ ყურადღებას აქცევს მაშინ, როდესაც ეს მათთვის საჭიროა. მათთვის აღარ არსებობს არავითარი იურიდიული ნორმა, როცა მათთვის ეს დამატკბობელია.

როგორც „სამღვთო კავშირის“ მიერ ვენის კონგრესზე ლეგიტიმიზმის პრინციპი ავსტრიის, პრუსიის და რუსეთის ინტერესებით იმსხვრეოდა, ისე დღესაც იურიდიული ტრადიციები და ნორმები ფეხქვეშ გათვლილია ლოზანის კონფერენციის მიერ მოკავშირეთა ინტერესებისათვის. როგორც ვენის კონგრესზე სდუმდა ლეგიტიმიზმის მხურვალე დამცველი ტალიერანი, როდესაც გერმანიის სამთავროები ამხობდა ერთი კალმის მოსმით „პრუსიის გამაღიერებისათვის“ ისე ლოზანის კონფერენციის გენერალური სამდივნო სდუმს დიპლომატიური ურთიერთობის ტრადიციის ფეხქვეშ გათვლის შესახებ, როდესაც კოლოზანის კონფერენციის გაგრძელებაზე არ უშვებენ ამავე კონფერენციის მიერ მოწვეულ საბჭოთა რესპუბლიკებს.

ჩვენ არ გვიკვირს, რომ კაპიტალის მაგნატთა მიერ უფსკრულია გათხრილი ფაქტური მდგომარეობისა და იურიდიული ურთიერთობის შორის. ბურჟუაზიამ მრავალი იურიდიული ფიქცია შექმნა დაშორებული ფაქტური წყობისა. აქაც, ლოზანის კონფერენციისაზე და მას სურდა საბჭოთა რესპუბლიკებს კულისებში მოეწერა ხელი იმ კონფერენციისადმი, რომლის ძალით სრულდებოდა და შვედეთში ინგლისის ფლოტის გაბატონება იქნებოდა უზრუნველყოფილი.

ასეთივე იურიდიული ნარქია შექმნა შვეიცარიის „ნეიტრალურმა“ მთავრობამ, როდესაც ვიზა არ მისცა საბჭოთა სახელმწიფოების წარმომადგენელს.

იურიდიული ანარქიის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ინგლისის მემორანდუმიც საბჭოთა ქვეყნებისადმი.

### ინგლისი-თამაშობა

**აბს. მოკლევადიანი ილაპლა**

**ბერნი.** 10 მაისი. 10 მაისს საღამოთი ლოზანში მოკლეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სრულყოფილებიან წარმომადგენელი იტალიაში აბს. ვოროსკი. დასაქრეს წარმომადგენლობის თანამშრომლები ანანაგები დივილიკოსკი და არენსი.

**ლონდონი.** 10 მაისი. ლოზანის პოლიცია იუწყება, რომ აბს. ვოროსკი მოკლეს ფაშისტებმა სალიდის დროს სასტუმრო „სუსილიში“, მას ათჯერ ესროლეს.

**ლოზანა.** 10 მაისი. ანანაგ ვოროსკის მოკვლის წინ უძღოდა შემდეგი ამბები: სასტუმროში, რომელიც ეკირა რუსეთის დელეგაციის გამოცხადდა ვილაი ცრუ დელეგაცია შვეიცარიის ნაციონალური ლიგის სახელით. დელეგაცია არ მიიღეს, ამის შემდეგ ის დაემუქრა რუსეთის დელეგაციას ძალადობით თუ ის თავისი ნებით არ დასტოვებს ლოზანას.

ამ ამბებს შეეხო ბურჟუაზიული პრესა: მაგალითად გაზეთი „მატენმა“ გამოთქვა აზრი, რომ შვეიცარიის მთავრობა წინადადებას მისცემს ვოროსკის დასტოვოს შვეიცარია. გაზეთი „ტანი“ სწერდა, რომ ამ ინციდენტს სამწუხარო შედეგები მოუყვება თუ ლიგის წევრებმა სისრულეში მოიყვანეს თავისი მუქარა.

**ვოროსკი.** 11 მაისი. აბს. ვოროსკი, ვაილა

მიმართ, რომელიც ემუქრება ამ უკანასკნელ თურთიერთობის შეწყვეტით.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკა დღეს არ ქმნის ნოყიერ ნიადაგს საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ რაიმე რადიკალური ნაბიჯების გადადგმისათვის. საინტერესოა მხოლოდ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების შეურიგებელი მტერი შექმნილი ანარქიით სარგებლობენ და ტერორისტულ ავანტიურასაც კი მიმართავენ. ლოზანაში რუსეთის წარმომადგენლის აბს. ვოროსკის მოკვლა და მისი თანამშრომლების დაჭრა გამხეცველი ავანტიურაა ფაშისტური ორგანიზაციის.

ეს ანარქია და ავანტიურა მიზნად ისახავს რევოლუციურ-რეაქციის შორის დავის ატეხას, იმედით პირველის დამარცხებისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი ცდა დამარცხებით დასრულდება. საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა საკმაოდ მტკიცეა. არსებული პოლიტიკური კონიუქტურა საერთაშორისო მასშტაბით არ ქმნის პირობებს სერიოზული ომის გახადებისათვის. მართალია მსოფლიო ომი ფაქტურად არც კი დასრულდებოდა. ომის ეპიზოდები მინიატურულ ფორმებში ისევ მგორდობს, როგორც ალმოსავლეთში (საბერძნეთ-ოსმალეთის ომი) ისე დასავლეთში (რუმის ოლქის ოკუპაცია). ისიც ცხადია, რომ ვერსალის ზავი ომის წყარო და საფუძველია, მაგრამ ჯერ-ჯერობით, მიუხედავად გარეულებული პოლიტიკური კრიზისებისა, კიდევ მცირეა ომის პერსპექტივები.

საბჭოთა ქვეყნების მედგარმა ბრძოლამ შესძლო თავისი ავტორიტეტის გამტკიცება. „კრემლის ყაჩაღები“ ნაცისტთა დეფაქტოური დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ნორვეგიის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის და ჩინეთის მიერ. იგი ნაცისტთა დე-იურე ავსტრიის, გერმანიის, ალბანისტანის, ბოლგარეთის, ლიტივის, ლატვიის, მონტენეგრიის, სპარსეთის, პოლონეთის, ფილიპინის და ესტონეთის მიერ. რა თქმა უნდა არც დე ფაქტოდ და არც დე იურე ცნობა კიდევ არ ნიშნავს საბჭოთა რესპუბლიკების ხელშეწყობას. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკები სერიოზული ძალაა საერთაშორისო ძალთა კონცენტრში და იძულებული არიან მას ანგარიში გაუწიონ.

მართალია დღესაც ფოში, ვარშავში გამართულ პანკეტზე, ზოტბის უძღვრის პოლონეთის მილიტარისტებს და წინადადებას აძლევს მათ დივიზიების გამაღიერებისათვის. იგი გენერალ გალერსთან მოლაპარაკების დროს ვენაში ცდილობს ავსტრიის ჩაითრის საფრანგეთ-პოლონეთის კოალიციის რუსეთ-გერმანიის წინააღმდეგ. საფრანგეთი თუ დასავლეთი ოკუპაციის ახდენს ალმოსავლეთშიც არ ცხრება, იგი სირიაში აგრძელებს ჯარებს და ულტიმატუმს უდგენს ოსმალეთს, რომ მისმა ჯარებმა დასტოვოს სირიის საზღვრები. ყოველივე ეს ლოლიკურია ანტანტის ანარქიულ და ავანტიურისტულ პოლიტიკაში. მაგრამ მას არც იმდენად უსწევს ძალა, რომ საბჭოთა ქვეყნების საწინააღმდეგოდ დღეს მან სერიოზულად მოიქციოს ხმალი.

ცხადია ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსვენებით შეეყურობდეთ იმ პოლიტიკურ აქტებს, რომელსაც ადგილი აქვს უკანასკნელ დღეებში.

სერ. ამალოშვილი.

### ინგლისი-თამაშობა

ვაილაის ძე, დაიბადა 1872 წელს. მისი პარტიული სახელია—ორლოვსკი.მოსკოვის ტექნიკური სასწავლებლის ყოფ. სტუდენტი. რევოლუციური მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა 1891 წლიდან და არაერთხელ ყოფილა დატუსაღებული სოციალ-დემოკრატიულ წრეებში მუშაობისა და მუშებს შორის აგიტაციისათვის, 1899 წელს აბს. ვოროსკი სამი წლით გადაასახლეს ვიატკის გუბერნიაში. 1921 წლის მარტში საბჭოთა მთავრობამ აბს. ვოროსკი დანიშნა რ. ს. ფ. ს. რ. სრულყოფილებიან წარმომადგენელად იტალიაში.

აბს. არენსი, რომელიც დასაქრეს მკვლელებმა, ძველი კომუნისტი—1905 წლიდან. უკანასკნელ ხანებში ის იყო ჩვენი წარმომადგენლობის რეფერენტი ბერლინში და აბს. დივილიკოსკისთან ერთად გაემგზავრა ლოზანაში 20 აპრილს.

აბს. დივილიკოსკი, რომელიც მძიმედ დასაქრეს მკვლელებმა, აპრილის ოცს აბს. არენსთან ერთად ჩავიდა ლოზანაში და ასრულებდა განსაკუთრებულ დავალებათა თანამშრომლის მოვალეობას აბს. ვოროსკისთან. აბს. დივილიკოსკი—რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის წევრია.

**ლოზანის კონფერენცია**

**ლოზანის კონფერენცია ჩაშლის შესაძლებლობა.**

**პარიზი.** 7 მაისი. მთელი საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ ლოზანის კონფერენციის წინ ელოდება ბევრი დამატკბობელი, ოსმალეთის შეუიარაღებო

ბელი პოზიციის გამო, რომელსაც ისინი ადგანან უკუბრუნების უფლებათა საკითხში. შიშობენ, რომ კონფერენცია ჩაიშლება, თუ ისმეტ-ფაშა განაგრძობს ჯიუტობას.

**მოკავშირეები არღვევენ ოსმალეთის სუფერენტიტეტს.**

**ლოზანა.** 7 მაისი. კაპიტულიაციის საკითხის განხილვის დროს მოკავშირეებმა, დაარღვიეს ოსმალეთის სუფერენტიტეტი, მოითხოვეს წინასწარი ეცნობის ევროპის იურის კონსულტების ოსმალეთის უკუბრუნების ქვეყნებთან დაპატიმრების და გაჩხრეკის შემთხვევების შესახებ, უკუბრუნების სასამართლოს რეჟიმის შესახებ მოკავშირეების წერილობითი წინადადების გადაცემა არ მომხდარა მოკავშირეების შორის გამოწვეული უთანხმოების გამო.

**ინგლისი თამაშობს**

**ლოზანა.** 7 მაისი. „ჟურნალ დე დება“-ს ლოზანის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ინგლისმა შესძლო ოსმალეთის მიმხრობა და აღნიშნავს, რომ იმ საკითხების განხილვის დროს, რომლებიც შეეხებიან ინგლისის ინტერესებს, მოსჩანს თითქმის სრული თანხმობა ინგლისის და ოსმალეთის შორის.

„ტან“-ის ცნობებით, ინგლისელმა და ოსმალმა შორის დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკება მოსულის საკითხის შესახებ.

**საკითხი ტამბოლის ევაკუაციის შესახებ**

**ლოზანა.** 7 მაისი. მოკავშირეები მოითხოვენ, რომ სტამბოლის ევაკუაცია მოხდეს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ხელშეკრულება დამტკიცებული იქნება მოკავშირეების პარლამენტების მიერ.

**ინგლისი ნოტის გარშემო**

**ინგლისის პარლამენტი**

**ლონდონი.** 10 მაისი. ინგლისის ულტიმატუმმა რუსეთის მიმართ დიდი ატრ-ზაური გამოიწვია ინგლისის პარლამენტში. ბალდვინი იძულებული გახდა აღეთქვა კამათის გახსნა ამ საკითხზე უახლოეს სხდომაზე ერთი დღით ადრე ულტიმატუმში აღნიშნული ვადის გასვლამდე ინგლისის მთავრობას საქმე ექნება მუშათა პარტიის და ორივე ლიდერალური პარტიის და აგრეთვე კონსერვატორების ნაწილის გაერთიანებულ ოპოზიციას.

**პარლამენტის ფრაქციები წინააღმდეგ არიან კავშირის გაწყვეტის**

**ლონდონი.** 10 მაისი. მუშათა პარტია პარლამენტში არა მარტოპროტესტს განაცხადებს რუსეთთან კავშირის გაწყვეტის წინააღმდეგ, არამედ მოითხოვს საბჭოთა მთავრობის სრულ ცნობას. ლიბერალები და აგრეთვე კონსერვატორების ნაწილი რუსეთთან კავშირის გაწყვეტის წინააღმდეგია.

**ინგლისის საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შეწყვეტის**

**ლონდონი.** 10 მაისი. ინგლისის პარლამენტის გარეშე მყოფი საზოგადოებრივი აზრა ძალიან შეუხებელია შექმნილ მდგომარეობით. ყველა პარტიების დეპუტატები დატვირთული არიან ვაჭრებისა და მწარმოებლების წერილებით და აგრეთვე საავტოო პალატების რეზოლუციებით, რომელნიც პროტესტს აცხადებენ საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შეწყვეტის წინააღმდეგ. რეზოლუციები აღნიშნავენ, რომ დამოკიდებულების შეწყვეტა დაუზავს რუსეთის ბაზრის გამოცოცხლების ყველა იმედებს. ინგლისის მთავრობას აგონებენ, რომ ბონარ ლოუმ დაპირება გამოთქვა კამათის გახსნის შესახებ პალატაში, სანამ მიღებული იქნებოდა ნაბიჯი რუსეთთან დამოკიდებულების შეწყვეტისაკენ მიმართული. კერზონმა დააბრუნა ეს დაპირება, როდესაც გაუფანჯრა რუსეთის მემორანდუმი, რომელზედაც პალატას არ ჰქონია წინასწარი მსჯელობა.

**კერზონმა ვერ გამოიანგარიშა**

**ლონდონი.** 10 მაისი. „დეილი-გეოგრაფიკ“ იტყობინება, რომ პარლამენტის წევრების უმრავლესობა მოითხოვს კონფერენციის მოწყვეტას საფრანგეთ-ინგ-

ლისის კონფლიქტის გადასაწყვეტად. მთავრობის მომხრეებიც კი კიცხავენ ინგლისის ნოტას. „მანჩესტერ გარდინერს“ ცნობით ყველა პოლიტიკურ ფრაქციების წევრები ენერგიულ პროტესტს ლეგულაზმისათვის ამრჩევლთაგან ნოტის შესახებ. ოპოზიციონერი განწყობილება პალატაში დიდია. ფიქრობენ, რომ კერზონმა ისარგებლა პრემიერის არყოფნით რომ თავისი ხაზი გაეტარებია.

**ვინ არიან ეს ინგლისის „მოკალაქენი“.**

**ნიუ-იორკი.** 10 მაისი ამერიკელმა ჟურნალისტმა ქალმა მარგარიტა გარისონმა, რომელიც ორჯერ იყო დატუსაღებული რუსეთში 1922 წ. და შემდეგ განთავსდებოდა, ამას წინათ სახალხოთა განაცხადა, რომ ის მოვიდა რუსეთში, როგორც ამერიკულ სამხედრო დახვეწის აგენტი. თავის დროზე ამერიკის ბურჟუაზიულ პრესას მოყვდა ამ გარისონის დატუსაღების ამბავი, როგორც ბოლშევიკების „მეცობის“ დამამტკიცებელი საბუთი. ახლა კი თვით გარისონი აცხადებს: ბრალდებანი, რომელნიც საფუძვლად დაედევნ ჩემს დატუსაღებას იმდენად არსებითი იყენენ, რომ ისინი ყოველგვარ ეჭვის გარეშე აშკარაა დადგენილი მოღვაწეობის ხასიათს.

მეტად საინტერესოა აგრეთვე გარისონის ცნობები ინგლისელ ჯაშუშ ქალის გარდინერს შესახებ, რომელიც ნახსენებია ინგლისის უკანასკნელ ნოტაში. გარდინერი ამტკიცებს, რომ გარდინერი ჯაშუში იყო, რომელიც, როგორც ინგლისის სამხედრო დახვეწის აგენტი წინეთ გერმანიაში მუშაობდა, საიდანაც რუსეთში ჩამოვიდა და აქ იქნა დატუსაღებული რუსეთის ხელისუფლების მიერ, რომელსაც უკვე წარმოადგენა ჰქონდა მასზე, როგორც ჯაშუშზე.

**აბს. კრასინი ინგლისის ნოტის შესახებ.**

**მოკავი.** 11 მაისი. როსტას კორესპონდენტთან საუბრის დროს აბს. კრასინმა სთქვა, რომ ინგლისის ნოტის ტონი ამტკიცებს, რომ კერზონის პარტიამ, რომელიც ჯერ კიდევ 1921 წ. იყო წინააღმდეგი საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარ ხელშეკრულების დადებისა, საბოლოოდ გაიმარჯვა და გადაწყვიტა საავტოო ხელშეკრულების დადოვნა, მიუხედავად არა მარტო მუშების, არამედ მრავალ ლიბერალურ და მწარმოებელთა წრეების პროტესტისა. მე მონდობილი მაქვს, სთქვა აბს. კრასინმა, საქაროდ გავმგზავრო ლონდონში საკითხი ზომების მისაღებათ ჩვენი ინგლისში მყოფი საავტოო აპარატების მოსალოდნელ ლიკვიდაციისათვის. საკითხი ხელშეკრულების დადოვნა არ ნიშნავს ჩვენი ქონების დაკარგვას ინგლისში, რადგან, ხელშეკრულების ძალით, განხეთქილების დროსაც კი, ინგლისი მოვალეა საშუალება მოგვცეს ჩვენი ქონების ლიკვიდაციისათვის და აუქციონს მხოლოდ საავტოო ხელშეკრულების უფლებები გახსნ ჩვენ მოვალეობთ ინგლის იმ მოგებას, რომელსაც ის იღებდა ჩვენგან ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი შეკვეთისა საშუალებებით და საექსპორტო ნედლეულსა. ჩვენ გვიჩვენია ოპერაციები გაწარმოოთ ისეთ ქვეყნებში, სადაც ხელშეკრულების არსებობა საშუალებას მოგვცემს სწორად გაწარმოოთ ვაჭრობა. კრასინთან ერთად ლონდონში მიემგზავრებიან „რადიოლოგი ტეისა“, „არკოსის“ მოსკოვის განყოფილებისა და ორ სხვა ორგანიზაციების დირექტორები, რომელნიც უდიდესი მყიდველი და გამყიდველი არიან ინგლისის ბაზარზე.

**საფრანგეთი უკმაყოფილოა ინგლისით.**

**პარიზი.** 10 მაისი. საფრანგეთის პრესა უკმაყოფილოა კერზონის განცხადებით პარლამენტში იმის შესახებ, რომ გერმანიის წინააღმდეგობა შედეგია მის მიერ წარმოთქმული სიტყვის.

„ინფორმაციონ“ სწერს, რომ „დიპლომატები იმეორებენ ომის დროს დაწვრილ შეცდომებს“.

გაზეთები აიძულებენ თავს, რომ ინგლისის ნოტა გერმანიისადმი აღადგენს მოკავშირეების ერთიან ფრონტს.

**წყლის გადასახადი.** ვინაიდან ბევრი მცხოვრები დროზე ვერ იხიდან წყლის გადასახადს, ამის გამო ტუილისის პრეზიდენტი დაადგინა წყლის შეტანის დრო განსაზღვრის მხოლოდ ერთი თვით. ვინც ამ დრომდე არ გადაიხდის გადასახადს, წყალი დაეკრება.

**მცირე წლოვანების მუშაობა.** ჩაქვის რაიონის ჩინის პლანტაციებზე ნება დართულია მცირე წლოვანთა მუშაობაზე მიღება. მათი მუშაობა უნდა განსაზღვრულია 4—6 საათით.

**ქვეყნის მებრძოლი კვირეული.** დაიწყო ქვეყნის მებრძოლი კვირეული. რესპუბლიკის თითქმის ყველა დაბა-ქალაქებში. აგროგებენ შემოწირულებას ყულაბებით. თეატრების და კინოების





მდივანად ამხ. თავზარაშვილი გიორგი, თავმჯდომარის ამხანაგად ამხ. კაციაძე ილარიონ, მოღარედ ამხ. უმეჯურიძე ნინო.

კომიტეტი შეუდგა სპორტანზაციო მუშაობას.

ოთხშაბათს, მაისის 16, პარტიის ცენტრალური კლუბში (ლორის-მელოქ. № 1) დანიშნულია რაიონის პარტიული ამხანაგების კრება.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება ამხ. ს. აბლო-ბელის „ჩვენი და პოლიტიკური პარტიები“, 2. სპორტანზაციო საკითხები.

ყველა წევრის გამოცხადება სავალდებულოა.

## ჩვენი სკოლა

ამას წინათ გაზეთ „ტრიბუნა“-ს ერთ მახლობელ ნომერში სწერდა პატივცემული რი—დი; მოსწავლე ახალგაზრდათა ფორმის ტანისამოსის შემოღების შესახებ. თავის წერილში იგი ამტკიცებდა, ფორმის ტანისამოსის შემოღებას. როგორც ფორმის ტანისამოსის, ისე თვით ახალგაზრდა მსწავლეებელთა ცხოვრებაზე ბევრი რამ არის დასაწერი, მაგრამ ასეთებზე ჩვენი გაზეთის თანამშრომლები სდუმან.

დღევანდელ მოწვევას სრულიათ აღარა აქვს მსწავლეების ხათრი და პატივისცემა; არ ერიდება მსწავლეებელთა პაპიროზის მოწვევა და ღვინის სმა. ხშირათ მოსწავლე უშვერ სიტყვებს წამოისყ-

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

რაიკოში.

მეორე რაიკომის წევრთა საყურადღებოთა ცხადებით, რომ ოთხშაბათისათვის დანიშნული სა-რაიკო კრება გადადებულია პარასკევისათვის (მაისის 18) საღ. 8 საათზე.

რაიონის კომიტეტი.

უმუშევარ ამხანაგებს ვსთხოვთ მოვიდნენ ყველანი აუცილებლად კრებაზე ა. წ. 17 მაისს, დღის 2 საათზე, ბიუროში.

უმუშევარი: ი. კაციაძე.



მიწის წიაღის გამოკვლევა უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით. უცხოეთში, მადნის მოსახანათ შემდეგ საშუალებებს ხმარავენ: ცენტრალურ კა A-დან გზავნიან ტალღებს B. და C კეზში, რომლებიც იმყოფებიან ცენტრიდან ერთგვარ მანძილზე და აქვთ მისაღები აპარატები. თუ კი სიგნალები გარკვევით მიიღება B-ში და ნაკლებ გარკვევით (C-ში, მაშასადამე ეს იმის ნიშანია, რომ ამ უკანასკნელის გზაზე იმყოფება მინერალების ფენა, რომელიც ცუდი გამტარებელი არის. ამ ცდების გამოვარებით სხვადასხვა ადგილებში, შესაძლებელი ხდება დანამდვილებით ვაგებნა მადნის მდებარეობისა. მეორე მეთოდი გამოვარებული არის ავსტრიელი ინჟინრის მიერ, პეროლანის მიფრინავს დედამიწიდან მალა და მასზე მიბმული არის ანტენა. რომელიც მუდამ მიწას ეხება და რომელსაც პეროლანის მიათრევს. ნიადაგის გამტარებლობის უმცირეს ცვლილებებისათვის (რომელიც მოწმობს მადნის არსებობას), პეროლანის მიმღებ აპარატში

გავლენა ხდება მის სიმძლავრეზე, რომელიც იქ მიიღება. ამ მეთოდის პრაქტიკული განხორციელება სიმძლავრის წარმოადგენს. დაბოლოს გამოყენებული არის აგრეთვე ე. წ. რადიოგონომეტრის მეთოდი. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა საშუალებას განსაზღვროს იქნეს მიმართულება ყოველი გამგზავნი სადგურისა. სხვათა შორის ასეთი გზით ამ რადიოდენიუმ ხნის წინათ პარიზში აღმოჩენილ იქნა უმავთულო ტალღების საიდუმლო გამგზავნელი, რომელიც სხვებს სმენას უშლიდა. მინერალური ფენების სიახლოვე იწვევს ე. წ. „კვანძოვან“ შეცდომებს რადიოგონომეტრის ჩვენებებში ეს შეცდომები ანალოგიური არიან მაგნიტურ ისრის გადახრასთან ლითონის მასების გავლენით. თუ კი ამ შემთხვევაში გამგზავნელ სადგურების ადგილები ცნობილია, მაშინ „კვანძოვან“ შეცდომებით გამოვარებული ცდების დროს შესაძლებელი ხდება დაახლოებით იქნეს გამოცნობილი მადნების რაოდენობა.

## სიგნალები

რიპარდ ვაგნერის შემოქმედება. (ოპერა „ლოენგრინი“-ს, საოპერო სცენაზე დადგმის გამო).

განახლდა ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი, გერმანელი დიდი კომპოზიტორის ვაგნერისა— „ლოენგრინი“. რა სასიხარულო მოვლენაა ტფილისის საოპერო მატეიანისთვის, მით უმეტეს რომ ოპერა იღებენ ჩვენი სასიქადლო კ. მარჯანიშვილის, მიერ, ორკესტრს ხელმძღვანელობს, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი აქვს მინიჭებული „ლოენგრინში“ ივანე ფალიაშვილი, ხოლო სამთავრო როლებში ჩვენი საოპერო დასის საუკეთესო ძალები გამოდიან. სულთა და გულთა ვესალმები „ლოენგრინის“ განახლებას.

რიპარდ ვაგნერი, საოპერო ხელოვნების ერთი უდიდესი რეფორმატორია. ის დაიბადა 1813 წელს და გარდაიცვალა 1883 წელს. დასაფლავებულია ბაიერეთის კარლსუი (ქალაქი ზემო ბავარიის) მისი სახელობის თეატრში ყოველ წლიურათ იღებება დიდი კომპოზიტორის ოპერათა ციკლი, რომელიც სავე აუდიტორიას იზიდავს ქვეყნის ყველა კუთხიდან.

შემოქმედებითი ნიჭი, მას ჯერ კიდევ სრულიად უმწველობისას აღმოაჩნდა, როდესაც ახალგაზრდა კომპოზიტორი ცხოვრობდა პარიზში, ყველა სახელობის უცხოეთში, ვინაიდან მისი პირველი ოპერა სცენაზე დასადგმელათ არ იქნა მიღებული.

კომპოზიტორი უდიდეს მატერიალურ უსახარობას განიცდიდა, სანამ ბედმა ის უცაბედად არ შეჰყარა, პარიზის მუსიკალურ სფეროებში ყველაზე უმდიდრეს ქოკოლო მეიგრბერთან, რომლის მოხერხების წყალობით დრეზდენის საოპერო თეატრში დაიდგა პირველათ ვაგნერის ოპერა „რიენცი“ და შემდეგ „მოცტრიალ მეზღაფური“. მიუხედავად მატერიალური პირობების სისუსტისა, ვაგნერი მაინც დაუღალავათ აგრძელებდა თავის მუსიკალურ მოღვაწეობას და სწორედ აი ამ ხანებში შექმნა ტანგელოზი და მასჟან ლოენგრინი. ახალგაზრდა კომპოზიტორის ნიჭმა მიიქცია ყურადღება გერმანიის მუსიკალურ სფეროებისა.

მაშინ კიდევ ვაგნერი არ იყო გაშორებული საოპერო შემოქმედების ფორმებს, რომელიც ფრანგული და იტალიური შკოლათა კორიფეების გავლენას განიცდიდა.

იმ ხანებში ევროპაში გამეფებულ იყო მეიერბერის მუსიკალური შემოქმედება (გუგენოტებისა და

სხვათა grands opéras შემქნელი) და გასავალი ჰქონდა აგრეთვე იტალიანურ მელიოდურ ოპერის შკოლის ნიჭიერ შემოქმედს ჯუზეპე ვერდის.

მაგრამ, იფეთქა 1848 წ. რევოლუციამ, რომელიც ცენტრალური ევროპის ყველა სახელმწიფოებს მოედო რევოლუციონური სულით, ვაგნერი აქტიურ მონაწილეობას იღებს რევოლუციონურ მოძრაობაში და თვითვე იბრძვის დრეზდენის ბარიკადებზე მთავრობის ჯარებთან ერთად; მას ბრალი ედება აჯანყებაში. ის იძულებულია გაიქცეს და დაემალოს მდევნელებს შვეიცარიაში და მხოლოდ 1860 წელს. ამისტის შემდეგ ბრუნდება თავის სამშობლოში. აქ იწყება მისი შემოქმედების მეორე პერიოდი, როდესაც მან უარყო საოპერო ხელოვნების მუსიკალური ფორმები და შექმნა მუსიკალური დრამის საუკეთესო ნიმუში (ცნობილი ტერმინი—ნიბელუნგების ბეჭედი, რკინის ოქრო, ზიგფრიდი და ღმერთების დაღუპვა) ამავე ეპოქის ეკუთვნის მისივე მუსიკალური მისტერიის პარსიფან და კომიკური ოპერის ნიმუში „ნიურნბერგელი მეისტერ ზუნგერები“ ვაგნერის მოღვაწეობის ეს ეპოქა დაკავშირებულია იმ განსაკუთრებულ შრომებზე ყურადღებასთან, რომელსაც უწევდა კომპოზიტორს ბოვარიის მყფეს ლიუდოვიკო მე-III. ეს მეფე-პოეტი, მეოცნებე და ფილოსოფოსი, რომელიც სიყრმის საუკეთესო წელში—ისწრაფებს თავის ნებით სიცოცხლეს, როგორც ლაპარაკობენ მელანქოლიურ ბნელის დროს).

ვაგნერს გაღებული ჰქონდა ყოველგვარი საშუალებანი, ყოველგვარი ზომისა და კანტროლის გარეშე მისი მფარველისაგან, რამაც ურვეულო გაზრდა განვითარების საშუალება მისცა ვაგნერის საკომპოზიტორო გენიას, რომელმაც სრულიად გასწავტა კავშირი ძველ საოპერო ხელოვნებისაგან და წავიდა თავისი საკუთარი ახალის გზით, სადაც მელიოდის სულ მცირედ ადგილი აქვს მიჩენილი ხოლო მთავარი რამ მინიჭებული აქვს ორკესტრს, რომელმაც სიმფონიური შემოქმედების ხასიათი მიიღო.

ოპერა „ლოენგრინი“-ს სიუჟეტს საფუძვლათ დაედო ლეგენდა, საშუალო საუკუნოების ტრუბადურებისაგან მონათხრობით, სადაც შორეულ აღმოსავლეთში, ინდოეთის საზღვართან არსებულ მონასტრის ციხე-კოშკის საპირფეროებში გადნახულ წმ. გრაალის თასის შესახებ; უკანასკნელის შეუვალობას იტყვდა რაინდთა ორდენი, ღვთის მო-

გმისა, რომელთა მთავარ მისიას შეადგენდა დამცირებულთა და შეურაცყოფილთა დაცვა, ამასთანავე მათ არ ჰქონდათ უფლება ელიარბნინათ ვისმესთვის თავიანთი წარმოშობა, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ღვთიური ძალა ჰკარგავდა თავის მნიშვნელობას.

ერთ-ერთი ასეთი რაინდთაგანი გრაალისა გახლდათ სწორედ ეს ახალგაზრდა ლოენგრინი, რომელიც მანსლავტიდან გაგზავნილი იქნა, უმწიკვლო ქალწულის ბრანდელ პრინცესას ელზას შეურაცყოფილ პიროვნების დასაცავათ. ელზას მშვენიერება და უბნობითი აღტაცებული ლოენგრინის სთხოვს პრინცესას მის ცოლობას. მას შემდეგ, რაც მშვენიერ ქალის შეურაცყოფელ გრაფს ფრიდრიხ ევლარმუნდს დაამარცხებს.

ლოენგრინის არა მიწიერი სელა მზით და რაინდული მიმზიდველობით მოხიბლული ელზა აძლევს ცოლობის პირობას, ლოენგრინს, რომელიც ერთად ერთ პირობას უდებს ასასრულელათ მათი მომავალი ბედნიერების უზრუნველსაყოფათ, — რომ ელზას არასოდეს არ ეცადოს შეატყოს თუ ვინ არის მისი მშველელი რაინდი, ან საიდან.

მაგრამ ელზა არღვევს თავის ფიცს, დაეპყებული ფრიდრიხს ტელრამუნდის ცოლის ორტრულის მიერ, და ლოგრინთან დაქორწინების შემდეგ სთხოვს მას აუხსნას მისი წარმოშობა და სახელი.

სულის სიმწარით უამბობს ლოენგრინი თავის საღმერთებელ ელზას ყოველივეს და იძულებულია დასტოვოს თავის ახალგაზრდა ცოლი და დაუბრუნდეს მონსლავტის ციხე-კოშკს. ელზა რჩება მარტო —გარეწარ სულით.

აი მცირე შინაარსი დრამისა. ხოლო ოპერის დადგმის შესახებ—ვიტყვი შემდეგ ნომერში.

პ. ბეზუთოვი.

პარასკევს, 18 მაისს, სახალხო სახლში მუშა-მსახიობი გ. ჯახაური გამართავს საღამოს. წარმოდგენილი იქნება რევოლუციონური პიესა „ნომერი ოცდა ერთი ჯგერით“.

ასოთ-ამწუბო მუშის ბესო მაისურაძის იუბილე.

კვირას, 18 მაისს, ავლარბის მუშათა კლუბში პირველად შესდგება სინიციტროო ჯგუფის კრება, რომელმაც მიზნათ დაისახა მოაწყოს მუშა-ბესო მაისურაძის 30 წლის იუბილე კულტურულ ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავად.

მამუდავი მუშა.

— დღეს, სამშაბათს, რუსთაველის აკადემიურ თეატრში წარმოდგენილი იქნება, ამავე თეატრის ადმინისტრაციულ და მხარდაჭერის განყოფილების განგის, ტფილისის თეატრის, ცეცხლო-ტექნიკის სახურებულ პატივცემულ მსახიობსა და მსახიობის ფისოდ ახალი თარგმნილი ოპერა „პარიზის ლარინატიანი“. ნ. მოქმ. დრამა. პროლოგით და ეპილოგით.

ასოთ-ამწუბო მუშის ბესო მაისურაძის იუბილე. ავლარბის მუშათა კლუბთან არსებულ ქართული წარმოდგენების კოლექტივთან შესდგა ინციტროთა ჯგუფი, რომელიც ახლო მომავალში ავლარბის მუშათა კლუბში გამართავს სახალხო მუშა-მსახიობის ბესო მაისურაძის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილეს. იუბილე მოეწყობა ფართე სახით, რომელშიაც პროფკავშირების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ ფარტია-ქარხნის მუშები.

წმრილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორი! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით განვცხადო შემდეგი:

1919 წლამდე გვეუწოდო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიას, მაგრამ დღე-რწმუნდით რა მასში, რომ უკანასკნელი არ იყო ნამდვილი დამცველი ეროვნების და მშრომელი ხალხის—თავი დავანებე და ვიზიარებ საქართველოს მემარცხენს სოც.-დემდერალისტთა სარევოლუციო პარტიის პლატფორმას, როგორც საღ მოძღვრებას ეროვნების და ფედერალიზმის დამცველისა.

სერგო გრიგოლ

ამით ვაცხადებ, რომ ვტოვებ საქართველოს სოციალისტ-დემდერალისტთა პარტიას და გადავდივარ მემარცხენე სოციალისტ-დემდერალისტთა პარტიაში.

არ. ყანდარელი.

შეცდომები № 468 ტიპოგრაფიაში.

„პოეზიით მთვრალნი“

არის: უნდა იყოს პიარგავს ყველა ერს . . . . . პიარგავს ყველაფერს. უშინაარსო, უფრო უაზრო . . . . . უფრო უაზრო. ისტორიული ვალაო . . . . . ისტორიული ვალაო. აღვნიშნავდ, ასანიშნავია . . . . . აღვნიშნავდ, რაც აღ-სანიშნავია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ამით ცხადდება საუკველთაო  
**საუკუბაღი**  
რომ აღმაკომის საფინანსო მანქანაში მისი იჯარით იცემა ერთი წლის ვადით შემდეგი ბალ-რესტორანები „არტო“, „სოლი“ და „ზევზა“ პლენარის პროსპ., „ერუ-ჟოკი“ კირკის ქუჩაზე და „უნიონი“ სოლოლაკის ქუჩაზე პირობების გაგება შეიძლება საფინანსო განყოფილების მდივანთან ამხ. ქიქოძესთან ოთახი № 14.  
№ 357. 4—3 საფინანსო განყოფილების გამგე—ვ. ფილაკოვსკი.

ქალაქის ღარაგვის მოძირავეები,  
რომელნიც დაკეტენ ღარაგებს, საწყობებს, სარდაფებს ან სხვა გვარ სავაჭრო-სამრეწველო კანტორებს და დაწესებულებებს, ვალდებული არიან ანგარიში გაასწორონ საფინანსო განყოფილების საღარაბო სექციაში, სადაც უნდა წარმოადგინონ ქირის გადასახდის კვითარები, ორდერები და გასაღებები ღარაგებიდან აღმასკომის ინვენტარის გატანა სასტიკად აკრძალულია.  
№ 358. 4—3 საფინანსო განყოფილების გამგე.

ტფილისის ალმასკომის პრაზიდიუშის და ტრანსპორტის  
მუშათა პაპშირის დადგენილების თანახმად,  
ყველა ავტომობილების მართველმა შოფერებმა, ქალ. ტფილისში უნდა ჩააბარონ გამოცდები ამ საგანზე სპეციალურად დანიშნულ კომისიაში.  
ამის გამო ყველა შოფერები, გარდა სამხედრო ვალდებულნი არიან ორი კვირის ვალში შეიძინონ ექიმის მოწმობა და ორი ფორტოგრაფიული სურათი და ასეთები წარმოადგინონ პირადობის მოწმობასთან ერთად  
**ტფილისის ალმასკომი (ოთახი № 4),**  
არა უგვიანეს მიმდინარე მაისის 25 რიცხვისა.  
**ის პირები, რომლებიც არ ჩააბარებენ გამოცდას ავტომობილზე საგუაოდ არ იქნებიან დაწესებულნი:**  
გამოცდები პირველ რიგში მოხდება შრომის ბარგის აღრიცხვაზე მყოფ შოფერებისა, ხოლო ყველა დანარჩენებ ავტომობილებზე მომუშავენი გამოიცდებიან მეორე რიგში და მათი გამოცდის დრო გამოცხადებული იქნება ცალკე.  
კომისიის თავმჯდომარე—ჩირაძე.  
№ 359. 3—3